საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№511 2020 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 159-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებისა და საქართველოს ზურმუხტის ქსელის – სამეგრელო 2-ის ტერიტორიაზე აღნიშნული სამუშაოების ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

ბ) მარნეულის მუნიციპალიტეტის ქალაქ მარნეულში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში ცხრაჯვარის სალოცავთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების დაფინანსების მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**